სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030639318618320

29 / ივლისი / 2020 წ. **თბილისი #06-151/ო**

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებით გათვალისწინებული ”ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტით განსაზღვრული საქონლის ხარჯვის ფორმების, მათი შევსების ინსტრუქციისდა საანგარიშგებო ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სოზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N06-110/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებით გათვალისწინებული ”ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტით განსაზღვრული საქონლის ხარჯვის ფორმების, მათი შევსების ინსტრუქციისდა საანგარიშგებო ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სოზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N06-110/ო ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და პირველი პუნქტით დამტკიცებული #1; 2; #3 და #4 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული #1; 2; #3 და #4 დანართების შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე